ხელშეკრულება № 57
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "01" 03 " 2018წ.

ერთის მხრივ, **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო** (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქუჩა №83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205316497), შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველად'', წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის **ალექსანდრე ხვადაგიანის** სახით და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: შპს "ბი ემ სი გორგია" საიდენტიფიკაციო კოდი: **245 621 288;**

მისამართი, ტელეფონი: ქ.თბილისი, წერეთლის N140; ტელ: 591 911 089;

დირექტორის მინდობილი პირი: ლევან გელაშვილი

საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ნ: GE 62 TB 1007 5360 2010 0008.

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.2 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2 ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად სამეურნეო საქონლის შესყიდვა (CPV-44500000).

2.2 **ხელშეკრულების ღირებულებაა: 63 (სამოცდასამი) ლარი.**

2.3 **დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.**

2.4 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირება) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 ხელშეკრულების არსებითი პირობები

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი დანართი N1-ით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

3.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

5 საქონლის მიწოდების პირობები

მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს, მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, დანართი N1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

6 შეფუთვა

6.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ადექვატური შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

6.2 შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთი გაბარიტი და წონა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7 წუნდებული საქონელი

7.1 მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართ N1-ში მითითებულ მაჩვენებლებს და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო (წუნდებული), არასათანადოდ შეფუთული, საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

8 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი) კერძოდ, **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

8.3 ინსპექტირების ჯგუფი მიწოდებული საქონლის ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

8.4 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

8.5 .შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი საექსპერტო კვლევა.

8.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მისაწოდებელი საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდების ადგილის მიხედვით.

9.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება წუნდებული ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო საქონლის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.

9.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი - **სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლოჯისტიკის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

9.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10 ანგარიშსწორება

10.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

10.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

10.3 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

10.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით. საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.5 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების გათვალისწინებით.

11.6 იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის საერთო რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, ხოლო რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ფასი არ გაიზრდება.

11.7 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში.

12.3 თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, ხარისხი) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) ხელშეკრულების დანართ N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 %–ის ოდენობით.

12.4 თუ კი ხელშეკრულების 12.3. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის ფარგლებში პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% და იგი ვერ განახორციელებს საქონლის სრულად მოწოდებას, და/ან არ გამოასწორებს აღმოჩენილ ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება; (ასეთის მოთხოვნის არსებობის შემთვევაში).

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.6 ამ მუხლის 12.5. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

15 სხვა დებულებები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

15.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს 22.02.2018 წლის N2834 და სააგენტოს შესყიდვების სამმართველოს 28.02.2018 წლის N4452 პატაკები.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო	**შპს "ბი ემ სი გორგია"**
მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა 83ა საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 205 316 497	ს/კ: 245 621 288; მის: ქ.თბილისი, წერეთლის N140 საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", ბ/კ: TBCBGE22 ა/ნ: GE 62 TB 1007 5360 2010 0008

სააგენტოს დირექტორი	შპს "ბი ემ სი გორგია" -ს დირექტორის მინდობილი პირი
ალექსანდრე ცვადაგიანი	ლევან ბელაშვილი

გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს უფროსი

მ.სიჭინავა

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს
უფროსის მოადგილე

ნ.როსტომბაია

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი

შ.ლობჟანიძე

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ლოჯისტიკის სამმართველოს მარაგების უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი

კ.ბრეგვაძე

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
შესყიდვების სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი

ც. რუხაძე

დანართი N1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება / ტექნიკური მახასიათებელი	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	**ლობზიკის დანა ლითონის დამუშავებისთვის კომპლექტში (SSB922EF)**	CPV-44500000	ცალი	10	6,30	63,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში	ქ.თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია

შემსყიდველი:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა 83ა
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ 205 316 497

სააგენტოს დირექტორი

ალექსანდრე ხვადაგიანი

მიმწოდებელი:

შპს "ბი ემ სი გორგია"
ს/კ: 245 621 288; მის: ქ.თბილისი,
წერეთლის N140
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თი ბი სი ბანკი“,
ბ/კ: TBCBGE22
ა/ნ: GE 62 TB 1007 5360 2010 0008

შპს "ბი ემ სი გორგია" -ს დირექტორის
მინდობილი პირი

ლევან გელაშვილი